



აღნიშნულ ფაილში წარმოდგენილია ის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც შეგიძლიათ მოაგროვოთ ინფორმაცია მოსწავლის ეპიზოდური, ხანმოკლე და ხანგრძლივი მეხსიერების მოცემულობის შესახებ.

ხანმოკლე ვერბალური მეხსიერების შესაფასებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ 10 სიტყვის მეთოდი. მოსწავლეს უკითხავთ ათ, ერთმანეთთან ლოგიკურად არა დაკავშირებულ სიტყვას. სიტყვების წაკითხვის შემდეგ, მოსწავლეს სთხოვთ გაიხსენოს ყველა ის სიტყვა, რომელიც მას ახსოვს (არ არის აუცილებელი იგივე თანმიმდევრობით).

სიტყვათა რიგს უკითხავთ ხუთჯერ, ყველა ჯერზე ინიშნავთ გახსენებული სიტყვების რაოდენობას.

ინსტრუქცია : მე ახლა წაგიკითხავ სიტყვებს, შენ უნდა გაიმეორო ყველა ის სიტყვა, რომელიც გაგახსენდება, სიტყვების თანმიმდევრობას არ აქვს მნიშვნელობა.

სიტყვათა ნაკრები, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას შეფასების დროს:

ხე, ძმა, ბურთი, უჯრა, ღამე, ძაღლი, სკა, თასი, ლოყა, კვამლი.

შეფასებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი ცხრილი, სადაც მოინიშნავთ მოსწავლის მიერ, ყველა ჯერზე გახსენებულ სიტყვებს.

| | ხე | ძმა | ბურთი | უჯრა | ღამე | ძაღლი | სკა | თასი | ლოყა | კვამლი |
|---|----|-----|-------|------|------|-------|-----|------|------|--------|
| 1 | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | | | |

შენიშვნა: შეგიძლიათ შესთავაზოთ სხვა სიტყვებიც, გამოიყენეთ, ერთ და ორმარცვლიანი მარტივი სიტყვები, რომლებიც ლოგიკურ კავშირში არაა ერთმანეთთან.

ხანმოკლე სმენითი მეხსიერების შესაფასებლად შესაძლოა, ასევე გამოიყენოთ შემდეგი მეთოდი.

აღნიშნულისთვის თქვენ დაგჭირდებათ ციფრთა მწკრივი :

სთხოვეთ მოსწავლეს გაიმეოროს ციფრები იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც თქვენ წაუკითხავთ (ციფრებს იმეორებთ მხოლოდ ერთხელ, მცირე პაუზებით) მას შემდეგ რაც მოსწავლე შეძლებს თქვენ მიერ შეთავაზებული ციფრები სწორი თანმიმდევრობით აღადგინოს, გადაადით მეორე მწკრივზე და გაუმეორეთ იგივე რაოდენობის ციფრი; მას შემდეგ რაც მოსწავლე ამასაც სწორად გაიმეორებს, დაუბრუნდით პირველ მწკრივს და ერთი ერთეულით გაზარდეთ ციფრთა რაოდენობა. ინიშნავთ ციფრთა იმ მაქსიმალურ რაოდენობას, რომლის გამეორებაც მოსწავლემ შეძლო.

ინსტრუქცია: მე გეტყვი ციფრებს, შენ უნდა გაიმეორო ზუსტად იმ თანმიმდევრობით, როგორც მე გეტყვი. მაგ. 2 6 შენ უნდა გაიმეორო 2 6.

ციფრთა მწკრივის ნიმუშები:

ვარიანტი პირველი

79
463
5241
96023
254061
7842389
34682538

ვარიანტი მეორე

61
835
2640
67543
741943
1390427
30926358

თუკი მოსწავლესთან აღნიშნული მეთოდების გამოყენება ვერ ხერხდება (მოსწავლეს არ ესმის, ვერ ხვდება ინსტრუქციას) მნიშვნელოვანია და შეგიძლიათ გამოარკვიოთ, რამდენ სიტყვიანი წინადადების გამოორება შეუძლია მოსწავლეს.

ინსტრუქცია: მე ახლა გეტყვი წინადადებას და ეცადე ზუსტად ისე გაიმეორო, როგორც მე გეტყვი.

წინადადების ნიმუშები - შეგიძლიათ მოიფიქროთ თავადაც.

გოგო ჭამს.

დათვმა თაფლი მოიპარა.

ტომის ახალი სათამაშო აქვს.

საწყალ ნიბლიას ზამთარში ძალიან შესცივდა.

გაზაფხულდა და ბავშვები სათამაშო მოედანზე გამოიკრიფნენ.

სანამ გარეთ, წვიმაში გავედი ქოლგა და საწვიმარი ავიღე.

გასულ წელს ყველა საგანი კარგად ვისწავლე და ჯილდოც დავიმსახურე.

მიზანი: მუშა მეხსიერების შეფასება

ამ შემთხვევაშიც, თქვენ ციფრთა მწკრივი დაგჭირდებათ, მოქმედებთ წინა ჯერზე აღწერილი ინსტრუქციის შესაბამისად, ამჯერად, მოსწავლეს სთხოვთ გაიმეოროს ციფრები უკუმიმართულებით. ინიშნავთ ციფრთა იმ მაქსიმალურ ოდენობას, რომლის გამეორებაც მოსწავლემ შეძლო უკუმიმართულებით.

ინსტრუქცია: მე ახლა გეტყვი ციფრებს, შენ ისინი უნდა დაიმახსოვრო და გაიმეორო უკულმა. მაგ. მე გეტყვი 48 , შენ უნდა მითხრა 84.

ციფრთა მწკრივის ნიმუშები:

პირველი ვარიანტი

61

615

5618

79648

985216

მეორე ვარიანტი

29

410

7106

89934

856086

მნიშვნელოვანია იმის გამორკვევაც, უშლის თუ არა ახალი ინფორმაციის შემოსვლა ძველი ინფორმაციის გახსენებას ხელს, ამისთვის შემდეგი მეთოდი დაგეხმარებათ.

შესთავაზეთ მოსწავლეს სიტყვათა მწკრივი, სთხოვეთ დაიმახსოვროს და გაიმეოროს. ამის შემდეგ შესთავაზეთ სიტყვათა მეორე მწკრივი და სთხოვეთ გაიმეოროს. მეორე მწკრივის გამეორების შემდეგ, სთხოვეთ გაიხსენოს ყველა ის სიტყვა, რომელიც პირველ ჯერზე უკარნახეთ. თქვენ უკვე განსაზღვრეთ ერთხელობრივად რამდენი ერთეულის დამახსოვრება და აღდგენა შეუძლია მოსწავლეს. სიტყვათა რაოდენობა მწკრივებში განსაზღვრეთ ამის შესაბამისად.

ინსტრუქცია : მე ახლა გეტყვი სიტყვებს, მინდა დაიმახსოვრო და გაიმეორო. ახლა სხვა სამი სიტყვა დაიმახსოვრე და გაიმეორე. გაიხსენე რომელი სიტყვები გითხარი სულ პირველად.

სიტყვათა მწკრივის ნიმუშები :

პირველი რიგი:

ნაძვი
პური
ქოლგა

მეორე რიგი:

ძალლი
ღამე
სახლი

პირველი რიგი:

ლომი
მაგიდა
წიგნი
ვაზი

მეორე რიგი:

მინა
კინო
ქოლგა
ცა

შესაფასებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი მეთოდიც:

მოსწავლეს უსახელებთ რამდენიმე საფეხურიან ინსტრუქციას, ინსტრუქციათა რაოდენობას ზრდით ეტაპობრივად, მას შემდეგ, რაც მოსწავლე შეძლებს და დაიმახსოვრებს ერთხელობრივად მიწოდებულ ყველა ინსტრუქციას და შეასრულებს მას. მნიშვნელოვანია, გამოვიყენოთ ის ინსტრუქციები, რაც მოსწავლისათვის ნაცნობია და რისი შესრულებაც შეუძლია.

ინსტრუქცია: რასაც ახლა მე გეტყვი, მინდა დაიმახსოვრო, შემდეგ კი შეასრულო ზუსტად იმ თანმიმდევრობით, როგორც მე გითხარი.

1. დააკაკუნე და დატრიალდი.
2. დაუკარი ტაში და მაჩვენე თავი.
3. დააკაკუნე, აიხედე ზემოთ, დაუკარი ტაში.
4. გადაშალე წიგნი, აიღე კალამი, მაჩვენე თავი.
5. გადაშალე წიგნი, მაჩვენე ხუთი თითი, ორჯერ დაუკარი ტაში.
6. მომეცი ორი ფანქარი, მაჩვენე დიდი კუბიკი, მითხარი შენი სახელი, დახატე წრე.
7. მაჩვენე სამი თითი მარჯვენა ხელზე, წიგნი გადაშალე მეხუთე გვერდზე, მითხარი შენი სახელი და გვარი, დაასახელე შენი საყვარელი მულტფილმის გმირი.

ხანგძლივი, სმენითი მეხსიერების შესაფასებლად, შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი მეთოდი.

წაუკითხეთ/მოუყევით მოსწავლეს მცირე ამბავი, და სთხოვეთ დაიმახსოვროს. მეცადინეობის დასასრულს დაუსვით კითხვები და სთხოვეთ გაიხსენოთ ამბის დეტალები.

ინსტრუქცია: ახლა მე შენ წაგიკითხავ ამბავს, რომელიც მინდა რომ დაიმახსოვრო, მეცადინეობის დასრულების შემდეგ კი მინდა გაიხსენო რა ხდებოდა ამ ამბავში.

მეგობრები



ნიკა, გიორგი და სანდრო მეგობრები არიან. ისინი ერთ კლასში სწავლობენ, თუმცა სხვადასხვა საგნები უყვართ. ნიკას საყვარელი საგანია მათემატიკა, მას ძალიან უყვარს ახალი და რთული ამოცანების ამოხსნა. გიორგი ფეხბურთსა და კალათბურთზე დადის, მისი საყვარელი საგანი კი სპორტია. სანდროს მამა მხატვარია, მას საკუთარი სამხატვრო სკოლა აქვს, სადაც სანდროც დადის. მისი საყვარელი საგანი ხელოვნებაა. მეგობრები ერთად დიდ დროს ატარებენ, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა რამეები მოსწონთ, სიამოვნებით ისმენენ ერთმანეთის ისტორიებს, საყვარელი სპორტსმენების, მხატვრებისა და მეცნიერების შესახებ.

მოსწავლის ეპიზოდური მეხსიერების შემოწმების მიზნით შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგ მეთოდი.

სთხოვეთ მოსწავლეს გაიხსენოს რაიმე ამბავი, რომელიც მას გადახდა, მაგალითად, გაიხსენოს პირველი დღე სკოლაში, საბავშვო ბაღში, მოგიყვეთ რაიმე მისი ცხოვრებიდან, რაც ყველაზე კარგად ახსოვს. უფრო ხანმოკლე პერსპექტივაში, სთხოვეთ, გაიხსენოს რა მოხდა იმ დღეს, როგორ გაატარა დრო, მანამ სანამ თქვენ დაურეკავდით.

ინსტრუქცია : ახლა მინდა გაიხსენო ამბები შენს შესახებ, მომიყევი თუ გახსოვს, როგორ გაატარე პირველი დღე სკოლაში. მითხარი ყველაფერი რაც გახსოვს.
როგორი იყო შენი დილა, მიაშვე რას აკეთებდი დღეს იქამდე, სანამ მე და შენ ერთმანეთს შევხვდებოდით.